

# კეთილი მეგობარი თქვენს სახარისო მოლოდინში


ზასი 50 თეთრი №30 18 - 25 დეკემბერი 2017 წელი გამომცემი სამშაბათობით

**ფოტოში  
„ხამსის,, სუნი  
არაღა  
არ  
„განიავდა,,  
33. 3**

**ყოფილი  
თანაგუნდელების  
ფარული  
დაპირისპირება  
„კამპერსების,,  
ოვში  
გადაიზარდა  
33. 3**

**შიშვით უნდა  
დავიხოსოთ? ..  
დასაბუღი ლარი,  
გაზრდილი ფასები და  
გადატაკებული  
მოსახლეობა  
33. 4**

**შენ ჯერ ებ არ  
გინახავს?**



**ამ გვიგონი ჩვენ  
www.msnews.ge**

## „გზა ევროპისკენ,, - შეხვედრები კიევში



მარი ჯაჟანიძე  
ფოტო

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სხვადასხვა მე-  
დია საშუალების 16 ჟურნალისტი უკრაინის დედაქალაქ  
კიევში სწორედ იმ დროს გავემგზავრეთ კონფერენცია-  
ზე, როცა სააკაშვილის გამო იქ ვნებათა დღეები  
მიმდინარეობდა, აღბათ, ამის გამოც იყო, რომ საზღვარ-  
ზე მესაზღვრებმა საკმაო ხანი შეგვყოფნეს, მაგრამ  
ბოლოს პირველი არხისა და იმედის ჟურნალისტებზე  
მეტად ნამდვილად გაგვიმართლა და, მათგან განსხვავე-  
ბით, ქვეყანაში შეგვიშვეს, როცა მოწვევა საფუძვლიანად  
შეისწავლეს და დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად კონფე-

რენციაზე მივეშურებოდით.  
კონფერენციის ძირითადი საკითხი გახლდათ დისკუ-  
სია თემაზე „ევროინტეგრაცია ეს არის...“. ჩვენთან  
ერთად დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს უკრაი-  
ნელმა ჟურნალისტებმა და ესტონეთის საგარეო  
საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, ესტონე-  
თის ელჩმა აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებ-  
ში ჟან რეინჰოლდმა. შეხვედრას ასევე უკრაინელი  
პოლიტიკური ექსპერტებიც ესწრებოდნენ. მოგესხე-  
ნებათ, ესტონეთი კარგა ხანია ევროკავშირის წევრი  
და წელს ამ კავშირს თავმჯდომარეობს კიდევ.

დასასრული 2-33.

**„მე ბავშვი  
პარ... შემიყვარა  
უანგაროდ,,...  
ფოთის ყველა ბაღში  
ინკლუზიური სწავლება**

33. 5

**სამოყვარულ  
ფეხბურთში ფოთის  
„ჭაბონამა,,  
„მოყვარულთა თასი-  
2017,, -ის  
გამარჯვებულია**

33. 7

ბამონეთის რაიონის მერი, მთავარი რედაქტორი  
0684 835301 -  
599 341 417;  
0684835301  
რედაქტორი  
033033 პაპორია -  
597 97 76 18

კორექტორი:  
მაია ჩხეიძე  
551 522 429-  
კომპიუტერული მართვა:

მარიამ ჯამბუაძე -  
579 24 11 22

თელავი მატკაძე  
(ფოტო)  
568 74 41 12

033033 პაპორია  
(ხობი)  
568 61 04 41

ბამონეთის რაიონის მერი, მთავარი რედაქტორი  
მასალის შინაარსი  
შეიქმნა არ  
მითხრობს  
რედაქციის  
თვალსაზრისს.  
სტატიის ავტორები  
თავად ატარებენ პასუხს  
ინფორმაციის სიზუსტეზე.  
რედაქციაში ავტორი  
მასალაზე ინახება  
ორი კვირის განმავლობაში,  
ამ ვადის განვლით  
შემდეგ პრეტენზიები  
არ მიიღება.

ბამონეთის რაიონის მერი, მთავარი რედაქტორი  
მასალის  
გადასამოწმება  
რედაქციის  
ნებართვის  
ბარეში  
აპრობირებულია.

# ესტონეთი - თქვენი კეთილი მეგობარი ევროკავშირში

მიმდინარე წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ესტონეთი 1.300 მილიონიანი მოსახლეობით წელს ევროკავშირს თავმჯდომარეობს. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი სვენ მიქსერი როგორც აღნიშნავს, მისი ქვეყანა მართავს მთელი ევროკავშირის საქმიანობას და გავლენას ახდენს ამ უზარმაზარი, 500 მილიონიანი მოსახლეობის გაერთიანების პრიორიტეტებზე. მიქსერმა ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა ურთიერთობათა სტრუქტურაა აღმოსავლეთით მდებარე სახელმწიფოებთან, მათ შორის საქართველოსთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, მოლდოვასთან, უკრაინასთან და ბელარუსთან.

„ევროკავშირმა უკვე მიაღწია შედეგებს აღმოსავლეთ პარტნიორობის დიალენამშრომლობის თვალსაზრისით, რასაც მოაქვს სარგებელი ამ ქვეყნების რიგითი მაცხოვრებლებისთვის“.

სვენ მიქსერი დიდი მძღველად მიიჩნევს ზემოთ ხსენებული ქვეყნების მოქალაქეებისათვის შენგენის ზონის ქვეყნებთან უფიზო მიმოსვლის შესაძლებლობას: „უბრალო მოქალაქეებისთვის ნაკლებად აქტუალური იყო საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლა. თუმცა, ეს არის ყველაზე პროგრესული ხელშეკრულებები იმათ შორის, რომელიც აქამდე გაფორმებულია ევროკავშირსა და ამ სამ ქვეყანას შორის. მარტივი ფორმულაა - პარტნიორობი საფუძვლად იღებენ ევროკავშირის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას და ამით გზას იხსნიან ევროკავშირის ბაზრებისკენ. ხსენებული ხელშეკრულებებით თანამშრომლობა არ ამოწურება, პირიქით, ახალი ვალდებულებები პარტნიორებს შესაძლებლობას აძლევს, ევროკავშირს სამომავლოდ მოთხოვონ დიდი დათმობები“.



ევროკავშირის თავმჯდომარე, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სვენ მიქსერი

ევროკავშირის წევრად აღმოსავლეთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი მიქსერი ამა წლის თებერვლიდან ვიზიტით ეწვია აღმოსავლეთის პარტნიორობის თითქმის ყველა სახელმწიფოს. როგორც მან აღნიშნა: „ჩვენ გვსურს, რომ ამ ქვეყნებში მოქმედებდეს დემოკრატიული, გამჭვირვალე და ადამიანის უფლებების პატივისცემული ხელისუფლებები, რომელიც ამაყობს თავისი მოქალაქეებით და არა კორუფციული ინტერესებით“. მინისტრისავე თქმით, ეკონომიკური ურთიერთობების გან-

ვითარება პარტნიორ სახელმწიფოებთან ძალზე მნიშვნელოვანია: „ჩვენს მეგობრებს სურთ, რომ მათი ინვესტიციები და სამართლებრივი ნორმები დაცული იყოს. ამდენად, მომავალი პარტნიორობის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ის ნაბიჯები, რომელიც გააძლიერებს ჩვენს საზოგადოებებს, შესაძლებლობას მისცემს ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიონ დამღუპველ გარე თუ შიდა ზემოქმედებებს“.

## „გზა ევროპისკენ, - შეხვედრები კიევში“

### დასაწყისი პირველი გზა

ესტონეთის წარმომადგენლებმა თავიანთი ქვეყნის გამოცდილებაზე ისაუბრეს. მათ ხაზი გაუსვეს ევროკავშირის მნიშვნელობას და მათ როლს ამ კავშირში, ისაუბრეს საქართველოს, უკრაინისა და მოლდავეთის პერსპექტივებზე ამ კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნეს ხსენებული ქვეყნების ევროინტეგრაციის გზაზე არსებული პლიუსებისა და მინუსების შესახებ. ჩვენდა სასიხარულოდ, ჟან რეინჰოლდმა როგორც აღნიშნა, ამ ქვეყნებს შორის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ყველაზე დიდი პერსპექტივა გააჩნია.

დარბაზში ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს შორის მწვავე დისკუსია გაიმართა თემაზე - საჭიროა თუ არა საუბარი ევროკავშირთან პოლიტიკურ ინტეგრაციაზე და უნდა მიენიჭოს თუ არა საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას ამ კავშირში გაწევრიანების პერსპექტივა. ყველა ქვეყნის წარმომადგენლები შეეთანხმნენ ერთ საკითხზე - ევროკავშირის ჩვენთან დამოკიდებულების მიუხედავად, უნდა გავაგრძელოთ ცივილიზებული და ნორმატიული სახელმწიფოს შენება.

ქართველ ჟურნალისტებს შეხვდა ასევე ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში უკრაინის ვიცე პრემიერი ივანა კლიმპუშ-ცინცაძე. უკრაინელი ფრიად სანდომიანი ქალბატონი, რომელსაც ქართველი მეუღლე ეავს. იგი ქართულად მოგვესალმა და უკრაინის მიღწევებსა და გამოწვევებზე საუბარი დაიწყო. ვიცე პრემიერი ევროინტეგრაციის გზაზე არსებულ პერსპექტივებსა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო. „უკრაინა ნელ-ნელა იწყებს ახალ ურთიერთობას ჩრდილო ატლანტიკურ ორგანიზაცია თ -სთანაც. ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩით თქვენ, ქართველებს 2008 წელს, ბუქარესტში, ორივე ქვეყანას ესებოდა ჩანაწერი, რომ გავხდებოდით ალიანსის წევრები, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, იანუკოვიჩის მთავრობამ ჩვენი პროგრესი შეაჩერა“ - აღნიშნა ცინცაძემ.

სტუმარი ჟურნალისტები ადგილობრივ კოლეგებთან ერთად მედია კრიზისულ ცენტრში „შთ მიერ მონაღებულ პრეზენტაციას დავესწარი. „შთ ააშკარავებს დეზინფორმაციებს უკრაინასა და მის ფარგლებს გარეთაც. ჟურნალისტებისთვის ასევე საინტერესო აღმოჩნდა



ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში უკრაინის ვიცე პრემიერი ივანა კლიმპუშ-ცინცაძე

ბანო ქორწილავასთან შეხვედრაც. მან მრავალ საკითხზე გაამახვილა ყურადღება როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში მიმდინარე და უკვე მომხდარ მოვლენებზე, კერძოდ, ფერად რევოლუციებსა და რეფორმების აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი.

ბანო ქორწილავა ქართველი ჟურნალისტი, რომელიც 2005-10 წლებში უკრაინაში საქართველოს საელჩოს პრეს ატაშე გახლდათ და ამჟამად ერთ-ერთი ტელევიზიის წამყვანად მუშაობს. შეხვედრები მეტად დატვირთული და ფრიად საინტერესო გახლდათ. ჟურნალისტებმა სააკაშვილისა და მისი მხარდამჭერების მიერ აღმართული ბარიკადებიც მოვიხსნა. სააკაშვილის მომხრეები კატეგორიულად არიან თავიანთი რჩეულის დასაცავად. რომ გაიგეს ქართველი ჟურნალისტები ვიყავით, გაუკვირდათ - საზღვარზე როგორ გადმოვიშვეს? ის იყო შეხვედრები დავასრულეთ და საქართველოში გამოვეშვარეთ, რომ სააკაშვილის დაპატიმრების ამბავი ფეხდაფეხ მოგვევა. უკვე საქართველოში კი მისი სასამართლო პროცესიც ვიხილეთ და გათავისუფლებაც.

ევროპის კავშირის თავმჯდომარეობის განმავლობაში ესტონეთს აღმოსავლეთ პარტნიორობის განვითარების გზაზე ორი მნიშვნელოვანი მიზანი ამოძრავებს: მხარი დაუჭიროს ევროკავშირის პოლიტიკური ყურადღების გაძლიერებას პარტნიორობის მიმართ და გააუმჯობესოს ეს პარტნიორობა.

„ძირითადი ყურადღება გადაგვაქვს თანამშრომლობის იმ პროექტებზე, რომლებიც თვალსაჩინოდ გააუმჯობესებს უბრალო ადამიანების ცხოვრების დონეს“ - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრმა მიქსერმა თავის მიმართვაში: „უნდა ვაღიაროთ, რომ ევროინტეგრაციისა და სუბსიდირების მიუხედავად, ამ ქვეყნების რიგითი მოქალაქეები შეიძლება არც კი უკავშირებდნენ ევროკავშირის მიერ განმარტებული რეფორმების საჭიროებას და მასთან დაკავშირებული ცხოვრების დონის ამაღლებას.

ასეთი ვითარება ძირს უთხრის გარდაქმნების არა მხოლოდ სახალხო მხარდაჭერას, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო კურსს, რომელიც ევროპულ ღირებულებებს ეფუძნება“.

მიქსერმა თავის მიმართვაში ასევე ისაუბრა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა საშუალებას იძლევა, დაცული იქნას ევროპული უსაფრთხოების ფუნდამენტური პრინციპი - ქვეყნების უფლება, თავად აირჩიონ საკუთარი მომავალი და განვითარების საკუთარი გზა: „ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ევროპის სამეზობლოში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების გათვალისწინებით, როდესაც ზოგიერთ პარტნიორს კვლავ ემუქრება აგრესია ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ესტონეთი სრულ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას რესპუბლიკის შემდგომ პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირში და ასოცირების შეთანხმებების განხორციელებას“.

მინისტრმა ხაზი გაუსვა მოსახლეობის არაინფორმირებულობასაც, რაც პრობლემას წარმოადგენს და აუცილებელია ამ თვალსაზრისით კიდევ ბევრი სამუშაოს ჩატარება.

# ფოტო „ხამსის,, სუნი არადა არ „განიავდა,,

## ივანე ავაქიანი ფოტო

ფოტოში თევზის გაუსაძლისი სუნის გამო გასულ წლებში მოსახლეობამ არა ერთი აქცია გამართა. წელსაც, რეწვის სეზონის დაწყებისთანავე, პაერი ქაფშიის აუტანელი სუნით გაიჟინდა, რასაც კვლავ მოსახლეობის უკმაყოფილება მოყვა. თევზის გადამამუშავებელი ქარხნების მფლობელები კი ირწმუნებიან, რომ გამწმენდი ფილტრი დააყენეს, რომელთაც მაქსიმალურად უნდა ჩაეხშო მძაფრი სუნი, მაგრამ ან ფილტრებია უხარისხო, ანაც მხოლოდ პაერის გამწმენდი პრობლემას ვერ აგვარებს. თევზის მძაფრი სუნი განსაკუთრებით დიდის საათებში იგრძნობა, აშკარად თვალში საცემია, რომ რიონშიც იცვალა ფერი და „სურნელი“, რადგან თევზის ნარეცხ წყალს თევზის გადამამუშავებელი ქარხნები სწორედ რიონში უშვებენ. ასეთი აუტანელი სუნი, რის გამოც მოსახლეობას არათუ ფანჯრების გაღება, გარეთ გამოსვლაც კი არ უნდებოდა, ქარხნების ექსპერტონებს დისკომფორტს არ უქმნის და არც კანონის დარღვევად მიაჩნიათ. ის კი არადა, მოსახლეობის ასეთ პრეტენზიას „ცოტა“ გაუბრაზებია კიდევ „შავი ზღვის პროდუქტი“-ის დირექტორი დავით კვანტალიანი: „კანალიზაციის წყალი რიონში იღვრება, მაგრამ ამაზე პრეტენზია არავის აქვს და თევზის ნარეცხი წყალი აწუხებთ? თან სუნი ჯანმრთელობისათვის სახიანო სულაც არ არის. ეს ერთგვარი საკვებიც კია მდინარის თევზებისათვის“. დავით კვანტალიანი იმასაც ამტკი-

ცებს, რომ მათი ქარხნიდან სუნი არ გადის: „ჩვენ გვიყვინია ფილტრი. დაინტერესებულ პირს შეუძლია ნებისმიერ დროს მოვიდეს და შეამოწმოს ქარხანაში არსებული მდგომარეობა. არ ვიცი, სუნი საიდან მოდის. მე ვიცი ჩემს ქარხანაში არსებული მდგომარეობა- შევიძინეთ ძვირადღირებული დანადგარი, რომელსაც ყველაფერი მოყვება, თან ქარხანა ქალაქგარეთ მდებარეობს და სუნი ქალაქამდე ვერ მიაღწევს. არავისკენ მინდა ხელის გაშვერა, მაგრამ ჩვენი ქარხნიდან სუნი არ გადის, ნარეცხი წყალიც ევაკუატორში შედის, რომელიც 1 200 000 დოლარი ღირს, იქიდან გამოდის გაფილტრული წყალი, რაც მერე ჩაედინება რიონში. რიონში გაფილტრული წყალი კი არა, მოგეხსენებათ, კანალიზაცია ჩადის და არ წუხდება ხალხი. ისიც ვთქვათ, რატომ არ გვაქვს მოწესრიგებული კანალიზაცია და რატომ ჩაედინება ყოველგვარი სიბინძურე რიონში?“.

თევზის გადამამუშავებელი ქარხანა „მპმ“ დირექტორმა როსტომ ნადირაძემ როგორც გვითხრა, ფილტრი სუნის დაკარგვის გარანტი არ გახლავთ: „ქარხანაში ამჟამადაც მუშაობენ ფიზიკოსები და ვცდილობთ, რომ გავაქროთ სუნი, მაგრამ მისი 100% გაქრობა არ ხდება. ყოველ წელს ვაუმჯობესებთ დანადგარებს. წელს განვახლებთ ყველა დანადგარს. დავაყენებთ ახალი სახარში, პრესი, გამაცივებელი. შევიძინებთ დამატებითი ავზები, რადგან შარშან წყლის პრობლემა გვქონდა“. რაც შეეხება ნარეცხ წყალს, ქარხნის მესვეურების თქმით, წყალი იწმინდება და მხოლოდ მერე



დაინტერესებული მდინარე რიონი

ჩაედინება მდინარესა თუ კანალიზაციებში: „წყალი იღვრება მდინარეში, კანალიზაციაში, მაგრამ ხდება წყლის ცირკულაცია, ევაკუატორში ნარეცხი წყალი იწმინდება და შესაბამისად, სუნიც არ აქვს. დავიჭირებთ სპეციალური მანქანები, რათა თევზის გადატანისას წყალი არ დაიღვაროს. ყველანაირად ვცდილობთ, დავახშოთ სუნი. ფოტოში 4 ქარხანაა და ყველანი ვცდილობთ სუნის პრობლემის მოგვარებას“.

როგორც ვნახეთ, ყველა ქარხნის ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ სუნის მიზეზი მათი ბრალი არაა. ძალიან გვინდა, ეს ნათქვამი ვირწმუნოთ, მაგრამ ქალაქში

არსებული აუტანელი სუნი ამის საშუალებას ნამდვილად არ გვაძლევს. იქნებ ვინმემ აგვიხსნას, საიდან მოდის ეს სუნი. როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. გავესაუბრეთ როგორც ქარხანაში მომუშავე ფოთელების ოჯახის წევრებს, ასევე იმათაც, ვისაც არაჩივი კავშირი არ აქვთ თევზის ქარხნებთან. ფოთელთა უმეტესობა ამბობს, რომ ეს მათი აბუნად ავადებაა. ლალო გეთია თვლის, რომ ქარხნებში ფოთელების დასაქმება კარგია, მაგრამ დანარჩენი მოსახლეობა არ უნდა წუხდებოდეს და იწამლებოდეს დამპალი თევზის სუნით. ნინო ბერაია როგორც გვეუბნება, დილაობით ბავშ-

ვი სკოლაში ტირილით მიდის, რადგან გარეთ გამოსვლა არ უნდა ცუდი სუნის გამო და ბავშვს სუნთქვა უჭირს: „ჩემი ქმარი მუშაობს ამ ქარხანაში, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩემი შვილები არ უნდა ზარალდებოდეს“.

ლალო ნადირაძემ აქციების უაზრობას გაუსვა ხაზი: „სწორედ რიონი გადათეთრებულია ხამსის ნარეცხი ქაფით. რამდენჯერ გაიმართა აქცია, მაგრამ უშედეგოდ. ხალხიც დაიღალა. ამათვის მაინც არც აქციას აქვს აზრი და არც ყვირილს. გასაგებია, რომ კერძო საკუთრებაა, ბიზნესია და ხალხია დასაქმებული, მაგრამ ადგილობრივმა

დასასრული 6-33.

# ყოფილი თანაგუნდელების ფარული დაპირისპირება „კამპერსების,, ომში გადაიზარდა

## ივანე ავაქიანი ფოტო

ბოლო რამდენიმე ხანია, ფოთის ყოფილ მერი ირაკლი კაკულიასა და სოციალურ საკითხთა ყოფილ თავმჯდომარეს, ამჟამად ოპოზიციაში გადასულ მაია ჩხარტიშვილს შორის შინმოვლის პროგრამასთან დაკავშირებით ღია დაპირისპირება შეიმჩნევა და ურთიერთბრალდებათა ნაკადი არ წყდება. ერთ-ერთი ასეთი მწვავე დაპირისპირების მომსწრენი გახდნენ საკრებულოს წევრები და დამსწრეები მორიგ სხდომაზეც. ირაკლი კაკულიამ ყოფილი თანაგუნდელი ჩხარტიშვილი წინასწარჩვენოდ დასარიგებელი პამპერსების რაოდენობის შემცირებაშიც კი დაადანაშაულა. ამ ინციდენტამდე გავრცელებული იმეების თანახმად, პროგრამა იხურებოდა და ბენეფიციარები ამ მზრუნველობის გარეშე რჩებოდნენ, რამაც სხენებული ბენეფიციარების საშინელი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია, რასაც, თავის მხრივ, შესაბამის ორგანოებში მათ მიერ განხორციელებული სატელეფონი ზარები და მოთხოვნები მოყვა. სხდომაზე

მომხდარი ინციდენტი გაშუქებული არ გეგმონდა, როცა რედაქციას დაუკავშირდა შინმოვლის პროგრამის ერთ-ერთი ბენეფიციარი და სწორედ ამ ინციდენტზე თავისი აზრი მოგვახსენა: „არ შეიძლება ადამიანს უკანასკნელი იმედი ჩაუქროს. ახლა ამას ქალაქის ყოფილი მერი ირაკლი კაკულია აკეთებს, რომელიც ამჟამად საკრებულოს მეთაურობს. ათი წელი ლოგინს ვარ მიჯაჭვული. პენსიაც კი არ მქონდა და ჩემი ცხოვრება გაუსაძლისი გახლდათ. შინმოვლის პროგრამამ და მისმა ბენეფიციარებისადმი დამოკიდებულებამ, აქ მომუშავე ადამიანებმა ცხოვრებისკენ მომაბრუნეს. არ შეიძლება, კარგი რამეები გაანადგურო. თან, არ დაგავიწყდეთ, ეს პროგრამა კაკულიას მერობის დროს განხორციელდა და ახლა ებრძვის ამ არაჩვეულებრივი იდეის განხორციელებას“. გასულ წელს, მაია ჩხარტიშვილის ინიციატივით ქალაქში შინმოვლის პროგრამა განხორციელდა, სადაც სოციალურად დაუცველ, ლოგინს მიჯაჭვული ბენეფიციარები ექიმისა და ექთნის ყოველდღიური მომსახურებით სარგებლობენ. სწორედ მათთვის შექმნილი პამპერსე-



ირაკლი კაკულია



მაია ჩხარტიშვილი

ბის ეკონომიასა და პროგრამის ხელმძღვანელად თავისი ნათესავის დანიშნვას ედავება ყოფილი მერი ჩხარტიშვილი. ამ ბრალდების შემდეგ, პროტესტის ნიშნად, ჩხარტიშვილმა საკრებულოს დარბაზიც კი დატოვა. ჩვენ დაინტერესდით აღნიშნული თემით და შევეცადეთ პროგრამაში მომუშავე კეთილშინდობიანი სპეციალისტებისადმი დაეკავებინათ. ბენეფიციარი ნაზიბროლა

ლოლობერიძე როგორც გვეუბნება, სწორედ ამ პროგრამის წყალობითაა ცოცხალი. მან მომსახურე პერსონალისადმი ქება-დიდება არ დაიშურა და ლიკა ექთანს უდიდესი მადლობა გადაუხადა იმისთვის, რასაც აკეთებს ამ ქალბატონისათვის. ნაზიბროლა ლოლობერიძე მარცხენა ბარძაყის ძვლის ყელის სუკაპიტალური მოტეხილობის გამო რამდენიმე

თვეა ლოგინსაა მიჯაჭვული და მას სამედიცინო და სხვა დახმარებებს სწორედ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უწყობს. ამბალიების ოჯახში შინმოვლის პროგრამით მამა-შვილი რომან და კობა ამბალიები სარგებლობდნენ. 81 წლის დაუძლეველი რომან ამბალია ასთმითაა დაავადე-

დასასრული 6-33.

# ბაღები ავტორიზაციის მოლოდინში

## თქალ მამაკაცი ფოთი

უახლოეს პერიოდში საბავშვო ბაღებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდება, რომელსაც საფუძვლად უდევს მიმდინარე წლის 8 ივნისის პარლამენტის მიერ მიღებული „საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“. ამ კანონით საქართველოში სკოლამდელი და ადრეული აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის მიზნით, განვითარება და ხარისხი მოწესრიგდება. ამ კანონითვე, საბავშვო ბაღების ავტორიზაციის აუცილებლობა დგება დღის წესრიგში.

რას გულისხმობს საბავშვო ბაღების ავტორიზაცია? ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ხელმძღვანელი მარგო ჯანიაშვილი როგორც განვითარებას: „პირველ რიგში გეტყვით, ლიცენზირების წესს ადგენს მთავრობა. საბავშვო ბაღში უნდა დაეკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: აუცილებლად უნდა დაეკმაყოფილდეს საგანმანათლებლო სტანდარტი, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დადებს აღმზრდელ-პედაგოგისთვის და აღმზრდელისთვის. ასევე, სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, უნდა დაეკმაყოფილდეს კვების სტანდარტი და მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა

სტანდარტების შესაბამისად. სწორედ ამ საკითხების მოგვარება გახდება ავტორიზაციის მინიჭების საფუძველი“.

როგორც ცნობილია, ფოთის სამი ბაღი ამორტიზებულია. უკვე ორი წელია ისინი რემონტს ელოდებიან, მაგრამ ტანხების მოძიება ვერა და ვერ განხორციელდა. ერთ-ერთი ბაღის აღსაზრდელები და აღმზრდელები სხვა ბაღში არიან შეხიზნულნი. გაურკვეველია, მოესწრება თუ არა ავტორიზაციის ვადებში ამ სამი ბაღის რეაბილიტაცია და ხომ არ დარჩება ისინი უფუნქციოდ. მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ვასილ თოდუას განმარტებით, გარკვეული ხარჯი გაწველია, სამივე ბაღის პროექტი მზადაა და შეთანხმებულია „მგფ“-ის საპროექტო ორგანოსთან: „სამწესრიგად, მიმდინარე წელს „მგფ“-მა ვერ მოიძია გრანტი, მაგრამ საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მომავალ წელსაც გაგრძელდება მუშაობა, გრანტის კომპონენტით თანხების მოსაპოვებლად. ჩვენც თანადაფინანსებით აუცილებლად განვახორციელებთ ამ სამი ბაღის სრულ რეაბილიტაციას. გრანტსაც თუ ვერ მოვიძიებთ, ჩვენი მინიმალური რესურსით მოვახერხებთ ბაღების რეაბილიტაციას. თუ ვერ მოხერხდება ამ ბაღების რეაბილიტაცია ავტორიზაციის ვადის პირობებში, ბავშვები გადაინაცვლებიან სხვადასხვა ბაღებში“.



ქალაქში 15 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. თებერვლიდან დღეებში დასახლებაში მე-16-ე ბაღი ამუშავდება. იგი 90 დღეებზე მეტს მოიცავს. დღეებისთვის ქალაქის მასშტაბით, 2000 აღსაზრდელი ირიცხება ბაღებში, თუმცა სრული დასწრებით, რეგულარულად 1400 ბავშვი აღირიცხება. ახალი კანონის ფარგლებში, ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფებში უნდა მოხდეს ასაკობრივი გადანაწილება. ამ ეტაპზე ეს პროცესი დასახვეწია და პრობლემატური.

„ახალი კანონით, 2-დან 3 წლამდე, ანუ ბავის ჯგუფში, 25-ზე მეტი ბავშვი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს. 3-დან 4 წლამდე არა უმეტეს 30 აღსაზრდელისა და 4-დან 5 წლამდე ასევე, არა უმეტეს

30 აღსაზრდელისა“- აღნიშნა მარგო ჯანიაშვილმა ჩვენთან საუბარში. როგორც აღვნიშნეთ, კანონით უნდა დარეგულირდეს კვების სტანდარტიც, რადგან ბავშვის სწორი განვითარებისთვის ჯანსაღი კვება აუცილებელი პირობაა. როგორც ჯანიაშვილი აღნიშნავს, აქამდე ფოთის ბაღებში ერთ ბავშვზე გათვლილი იყო 1.80 თეთრი, მაგრამ ქვეყანაში გაზრდილი ტარიფების შედეგად იგეგმება კვება თითო ბავშვზე 2 ლარამდე გაიზარდოს. ასევე, იგეგმება ბავშვს მიეცეს 1700-1800 კალორიის შემცველი საკვები, რასაც კანონიც ითვალისწინებს. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის კვების რეჟიმში შედგება 3 ძირითადი კვებისგან, მაგრამ ახალი რეგულაციით, გათვალისწინებულია 3 ძირითადი კვება და 3 წახემსება“.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს არეგულირებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. რას ითვალისწინებს ეს სტანდარტი?! „აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტი განსაზღვრავს პედაგოგის იმ უნარ-ჩვევებსა თუ ცოდნას, რაც აუცილებელია ბავშვთან ურთიერთობისას. ყოველივე ეს ემსახურება საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. 2024 წლამდე მოქმედ აღმზრდელს, რომელსაც 4 წლიანი გამოცდილება აქვთ, ჩაუტარდება ტრენინგი და მოხდება მათი გადამზადება მუნიციპალიტეტთან შეთანხმებულად“.

დასასრული 5-გვ.

# შიშვით უნდა დავიხოსოთ? ..

## დასვენული ღარი, გაზრდილი ფასები და გაღატაკებული მოსახლეობა

## თქალ მამაკაცი ფოთი

ლარი გაუფასურდა, დოლარი კლიერ „გაუტია“, რამაც ფასების კორექცია განაპირობა. ფასების მატებამ კი მოსახლეობის ისედაც გაზრდილი ჯიბეები კიდევ უფრო ამოაცარიელა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვევით დაეცა. პარლამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობები 2018 წლის ბიუჯეტზე ბჭობენ, რომელშიც სოციალური პაკეტების რაოდენობამ ღარის კურსით დაიწია. ბოლო რამდენიმე წელია, მთავრობა ინფლაციის შეჩერებას „იმუქრება“, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - ღარი გაუფასურების ზენიტშია.

როგორ უნდა გამყარდეს ეროვნული ვალუტა? როგორც ეკონომისტები ამბობენ, ღარის კურსი მყარდება, როდესაც მასზე მოთხოვნა იზრდება, ამას კი განაპირობებს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინება. ღარი უფასურდება, როცა მისი მოცულობა უფრო მზარდია, ვიდრე დოლარის, ამავდროულად ეკონომიკური ზრდის ტემპიც არ არის საკმარისად მაღალი, რომ განაპირობოს ღარის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა. გაუფასურდება ღარი

იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში შემცირდება დოლარის ნაკადის შემოსვლა, რაც დღევანდელ ცხოვრებაში ნათლად იკვეთება. ამ ყველაფერს უზრუნველყოფს სახელმწიფოში საერთაშორისო ვაჭრობა, ფაქტორული შემოსავლები, საინვესტიციო და საკრედიტო კაპიტალის შემოდინება. ღარის კურსი როდის დარეგულირდება, ამის პროგნოზს ყველაზე გაბედული ეკონომიკური ექსპერტიც კი ვერ აკეთებს. ამჟამად კი ქვეყანაში შექმნილია უმძიმესი სოციალური მდგომარეობა, მოსახლეობას გაზრდილ ფასებთან „გამკლავება“ ძალიან უჭირს. ბოლო რამდენიმე კვირაა, ეტაპობრივად იმატა ფასებმა საკვებ პროდუქტებზე. ჩვენს გაზეთთან საუბრისას სურსათის მაღაზიის მფლობელმა მარინა კუპრეიშვილმა აღნიშნა, რომ ფასები გაზრდილია თითქმის ყველა პროდუქტზე - კარაქზე, წიწბურაზე, ხეთზე და სხვა საკვებ პროდუქტზე და რაც ყველაზე მტკივნეულია მოსახლეობისათვის, იგეგმება პურის ფასის გაზრდაც. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უმუშევრობაზე საუბრობს, ზოგსაც დაბალი ხელფასები აწუხებს.

იხოდდა დიხამინჯიამ კი ფრიად ოპტიმისტური შეფასება გააკეთა: „ფასების მატება არ შეინიშნება. ჩემი აზრით, პროდუქტები ძვირი

არ არის. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ვახერხებ შევიძინო პროდუქტი. მომავალში რა იქნება. არ ვიცი“.

ქალბატონისგან განსხვავებული შეხედულება ავტორმა მარგო ბაბაძეს: „რა თქმა უნდა, გვაწუხებს ფასების ზრდა. უმუშევრობა ხეინტია. უმაღლესი განათლება მაქვს მიღებული, მაგრამ უმუშევარი ვარ. რა უნდა გააკეთოს ჩვეულუბრივმა მოქალაქემ. შიმშილით უნდა დავიხოსოთ?“

გაძვირებულია ბოსტნეულიც და ხილის ფასი. საგრძობლად მომატებული ფასების გამო შემცირებულია მყიდველის რაოდენობა. მოვაჭრეთა თქმით, მუშაობა წინა წლებთან შედარებით ძალიან გაუჭირდათ - „გვიფუჭდება პროდუქცია, რადგან არ იყიდება, მეორე დღეს კი აღარ ვარგავს ხომ ზარალია“.

„მსყიდველუნარიანობა დაიკარგა, არავინ მუშაობს, კანტიკუნტად დადიან მოქალაქეები ბაზარში. გაჭირდა ცხოვრება. მყიდველი თუ არ არის, გამყიდველიც უფულოდ არის“.

საქსტატის ოქტომბრის მანუალებით, სამომხმარებლო ფასები 0.5 პროცენტით გაიზარდა, სურსათისა და უაღკოპოლო სასმელების - 0.7 პროცენტით, ჯანდაცვაზე კი - 2 პროცენტით. განსაკუთრებით, მედიკამენტების ფასების მატება დაფიქსირდა. ოქტომბრის მო-



ნაცემებით, საშუალოდ 8.2 პროცენტით გაიზარდა პირველადი მოთხოვნის მედიკამენტების ფასები. თუმცა ერთ-ერთი აფთიქის ფარმაცევტის გვიმტიციებს, რომ ფასები გაზრდილი არ არის და პირიქით, აფთიაქი ყოველთვის აკეთებს ფასდაკლებებს მედიკამენტებზე. საკვები და სამომხმარებლო პროდუქტებისა და მედიკამენტებზე ფასების მატებასთან ერთად გაძვირდა საწვავის ფასიც. ღარის გაუფასურებამ დოლართან მიმართებაში და საერთაშორისო ფასის ზრდამ გამოიწვია საწვავის ფასის ზრდაც საქართველოს საცალო ქსელში. კერძოდ, ევრო დიზელის ერთი ლიტრის ფასი საშუალოდ 6-11 თეთრით

გაიზარდა, რეგულარი ტიპის ბენზინისა კი 5-10 თეთრით. საწვავზე ფასების მატებას ყველაზე მეტად მძღოლები გრძობენ, ფასების მატებამ მათი გადაადგილების საშუალება შეზღუდა: „ ადრე თუ მივიდიოდი თბილისში გარკვეული თანხის საფასურად, ახლა უფრო მეტის დაწვება მოგვიწევს, რადგან გაიზარდა საწვავის ღირებულება. შეიძლება ამან კლიენტების შემცირებაც გამოიწვიოს“. საწვავის ფასის შემდგომი რეგულაციები დამოკიდებული იქნება საერთაშორისო ფასებზე შ& ლატს -ის მიხედვით და ღარის დოლართან კურსზე.

# „მე ბავშვი ვარ... შემიყვარე უანბაროდ...“ ფოტოს ვებ-გვერდი ინკლუზიური სწავლება

## თქვენი ბავშვი ფოტო

შენთან კომუნიკაციას სხვადასხვა გზით ვცდილობ და გთხოვ, დააკვირდი ჩემს ყველა მოქმედებას... მე ვიზუალური ორიენტაცია მაქვს... დამეხმარე სოციალურ ინტერაქციაში... მე ბავშვი ვარ... შემიყვარე უანბაროდ... ეს არის პაზლი, რომელიც ერთად უნდა ავაწყოთ. სწორედ ამ თავსატეხს გავს აუტიზმის მდგომარეობა. პაზლის ყველა ნაწილი უნიკალურია და მთლიანი სურათის შესაქმნელად ყველა დეტალს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, ხოლო რამდენადაც აუტიზმის მქონე პირებს კომუნიკაციის, ურთიერთობის დამყარების სირთულე აქვთ, უჭირთ საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნა. ამიტომაც არის პაზლი აუტიზმის სიმბოლო.

ჩემი პირველი უშუალო შეხება აუტიზმთან ჩემი შვილის საბავშვო ბაღში მოხდა. სწორედ აქ შევამჩნიე პატარა, რომელიც რადიკალურად განსხვავდა სხვა ბავშვებისგან. რამდენიმე დღის შემდეგ ვკითხე მასწავლებელს, რატომ იყო ეს ბავშვი ყველასგან განსხვავებული, იგი თითქოს სხვა სამყაროში ცხოვრობდა. პედაგოგმა ამისთანა, რომ ბავშვი აუტიზტია. ამან გამოიწვია ჩემი დაინტერესება საკითხითაც და იმითაც, რა მდგომარეობაა დღეს ბავშვებში ამ კუთხით. რა მეთოდოლოგია შემუშავებული სპეციფიკური სწავლების შესახებ, ვინ არის აუტიზტი ბავშვი? რა არის ინკლუზია, რას გულისხმობს და დაავადებაა ეს თუ მდგომარეობა. ბავშვის გაერთიანების ხელმძღვანელმა მარგო ჯანიანიშვილმა საბავშვო ბავშვებში ამ კუთხით არსებული სტატისტიკა გამაცნო: „პირველ რიგში გეტყვი, რომ ერთიანი სტატისტიკა ქალაქში არ არსებობს. როდესაც მშობელს ბავშვი მოჰყავს საბავშვო ბაღში და ჯანმრთელობის დამადასტურებელ მოწმობაში უწერია ჯანმრთელი, გარკვეულწილად იქნება პრობლემა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც აღმზრდელი ბავშვთან ურთიერთობის დროს ამჩნევს დანარჩენი ბავშვების ქცევასგან განსხვავებულ ქცევებს - მაგალითად პიკურაქტიურია, არ აქვს გამართული მოტორიკა, არ რეაგირებს დაძახებაზე, საკუთარ თავშია დაკეცილი - ხდება ზოგადი შეფასება

ბა, რა თქმა უნდა, არაპროფესიულ დონეზე. მერე მიკავშირდება საბავშვო ბაღის გამგე და მაცნობს აღნიშნულ სიტუაციას. გცქონდა რამდენიმე ასეთი შემთხვევა, რის შემდეგაც დაფუძავირდი რამდენიმე უბნის ექიმს. მათ განმეორტეს, რომ აუცილებელია მივმართოთ მშობელს, რათა ბავშვი მიიყვანოს ნევროპათოლოგთან. ისე, საინტერესოა, რატომ უწერიათ ცნობაში ასეთ ბავშვებს „ჯანმრთელი“. ამაზე ექიმები არ საუბრობენ. ყოველივე ეს ქმნის ზუსტად იმ პრობლემებს, რასაც ვაწყდებით სტატისტიკასთან დაკავშირებით“.

საქართველოში გარკვეული ხანია არსებობს თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი, რომელიც ასორციელებს პროექტს „ბავშვთა ადრეული განვითარება რეგიონში“, პროექტის ფარგლებში ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ფოთშიც. აღნიშნული პროექტი ორწლიანია და მას შესაბამისი გერმანული ორგანიზაცია აფინანსებს. ცენტრი ორი წელია აქტიურად მუშაობს შშმ ბავშვებთან. ცენტრში არის სპეციალური საბავშვო ბაღი, სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა, ადრეული განვითარების სკოლა და დღის ცენტრი. ამ პროექტის მიზანი იყო გამოეკვლიათ ფოთის ბავშვებში 2-დან 7-წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთაც ესაჭიროებათ სპეციალური საგანმანათლებლო პირობები. ფოთში კონკრეტულად ამ გამოკვლევაში ჩართული იყო 18-მდე შშმ ბავშვი, მათთან მიმდინარეობდა ინდივიდუალური გასაუბრება, ჩაუტარდათ ანალიზი, ტესტირება. პროექტის ფარგლებში პირველ ეტაპად ჩატარდა სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს ბავშვებთან ურთიერთობას. მოხდა მათზე დაკვირვება, რა აქვს ბავშვს სუსტი და ძლიერი მხარე. მეორე ეტაპი გახლავთ რეკომენდაცია მშობლებს, მასწავლებლებს და სპეც.პედაგოგებს. მესამე ეტაპზე კი მშობლებს, მასწავლებლებს და სპეც.პედაგოგებს ტრენინგი უტარდებოთ.

თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის დირექტორმა, მარინა შუტკინამ საქართველოში პროექტის განხორციელებაზე გვიამბო: „დღეს საქართველოში დიდი ყურადღება ეთმობა ადრეული განვითარების საწყისებს ბავშვებში. გასულ წლებთან შედარებით, წელს აქტიურადაა



ამაში ჩართული სახელმწიფო, ადგილობრივი მმართველობები. გააქტიურებულია საკითხისა და პრობლემის მიმართ მიდგომები. თუმცა, გარკვეული ხარვეზებიც ახლავს ამ პროცესებს. ბავშვთან მუშაობის დაწყება დაბადებიდან უმჯობესია, მაგრამ ჩვენთან მუშაობა 6 თვის ასაკიდან იწყება და გრძელდება 6 წლამდე. უნდა მოხდეს ბავშვის ინდივიდუალური შეფასება. ამის შემდეგ ხდება დასკვნის გაკეთება. პირველ რიგში, ეს არის სენსორული, მოტორული და გონებრივი განვითარება. რაც უფრო ადრე მოხდება მუშაობის დაწყება, შედეგი უფრო თვალსაჩინო იქნება“.

აუტიზმი ნეიროგანვითარების დარღვევაა, რომლის გამოიწვევი მიზეზი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. არსებული მოსაზრების თანახმად, დაავადება გენეტიკურია, რომელიც შეიძლება, აუტიზმის სპექტრის აშლილობით გამოვლინდეს, ან არ გამოვლინდეს. ბავშვთა ფსიქოლოგი მანონი ბასილიანი როგორც განვიმარტავს: „აუტიზტიური სპექტრის აშლილობა შეფერხებაა სამსფეროში: ქცევაში, მეტყველებაში და კომუნიკაციაში. ამ დიაგნოზის ადამიანებს შეუძლებელია ახასიათებდეთ სტერეოტიპული მოძრაობები. საქართველოში ჩატარებული პირველადი კვლევის მიხედვით, ზუსტად არ არის დადგენილი, რა იწვევს აუტიზმს, თუმცა აუტიზმი არ არის დაავადება, ის არის მდგომარეობა. აუტიზმისგან ადამიანი ვერ განიკურნება, მაგრამ დროული თერაპიის შემთხვევაში, შეიძლება მისი მართვა და გაცილებით მარტივი გახდეს ცხოვრება ასეთი ადამიანებისათვის. აუტიზმი, როგორც მედიკინაში, ახალი სიტუაციაა მედიკინაში, ერთგვარი ნოუ-ჰაუა“.

ნეიროქირურგიის ცენტრს ჰქონდა პროგრამა, სადაც ადრე პირველადი სამედიცინო სპეციალისტების გადამზადება ხდებოდა. ახლა პედაგოგების უმრავლესობა ამ უნარს ვერ ფლობს, ვერ ასებრებს სწორი მიმართულების მიცემას მშობლისათვის, რაც შემდგომ პერიოდში ქმნის პრობლემათა ჯაჭვს. ერთ-ერთი უბნის ბავშვთა ექიმმა პირად საუბარში ასეთი რამ მითხრა: „მე მყავდა ორი აუტიზტიური სპექტრის წარმომადგენელი ბავშვი, ერთს მკვეთრად ჰქონდა გამოხატული განსხვავებული, არაადეკვატური ქცევა. იგი სრულიად იზოლირებული ჰყავდა ოჯახს, არც სკოლაში დადის და არც დღის ცენტრში, სადაც შშმ ბავშვები არიან დღის განმავლობაში. ჩვენ ხშირად გავდივართ შესაბამის ტრენინგებს, რადგან ზუსტად მოვახდინოთ შესაბამისი შეფასება“. ბავშვთა ექიმმა ჩვენს დაინტერესებასაც უპასუხა ჯანმრთელობის ცნობის შესახებ: „რაც შეეხება ჯანმრთელობის ცნობას და ბავშვის შეფასებას, პედაგოგები ვუწერთ ჯანმრთელს, რადგან ჩვენ არ ვართ ოკუპაციური თერაპევტები. არ გვაქვს არც შესაბამისი კვალიფიკაცია და არც უფლება. ბავშვის შეფასება ხდება ნეიროფსიქიატრიულ ინსტიტუტში“.

ლი გაუსწორონ შვილის მდგომარეობას, რაც ხელს უშლის ბავშვის სოციალიზაციას“.

აღნიშნული თემა ძალიან აქტუალური და სენსიტიური. ქალაქის მასშტაბით გამოკითხვა ჩავატარეთ თემაზე - საჭირო და აუცილებელია თუ არა ინკლუზიური განათლება საბავშვო ბავშვებში და რამდენად ემხრობიან ერთიან სივრცეში საადამრთელ პროცესის მიმდინარეობას მშობლები? გამოკითხულთა აზრი ორად გაიყო - ზოგი ეთანხმება, ზოგიც ინკლუზიური სწავლების წინააღმდეგი აღმოჩნდა. „ჩემი შვილი პირველ კლასშია. საბავშვო ბაღში მის ჯგუფში იყო აუტიზტი გოგონა, რომელიც მკვეთრად თითქოს არ გამოირჩეოდა და არც განსხვავდებოდა დანარჩენი ბავშვებისგან, მაგრამ ერთხელ, როცა მას რაღაც სურვილი არ აუხსრულეს, ძალიან გაღიზიანდა და მისი დამშვიდება შეუძლებელი გახდა. მე მაინც მომხრე ვარ საბავშვო ბაღებში ინკლუზიური სწავლებისა“- გვითხრა ერთ-ერთმა მშობელმა, მაგრამ მას კატეგორიულად არ დაეთანხმა მეორე: „იმდენად აქტიურები, დაუმორჩილებელი და ზოგჯერ აგრესიულიებიც კი არიან, რომ უმჯობესი იქნება, სპეციალურ საბავშვო ბაღში მიმდინარეობდეს მათი საადამრთელ პროცესი“.

სახელმწიფო მზადაა ამ პრობლემების მოგვარებაში მონაწილეობა მიიღოს. არსებობს კანონი ინკლუზიური სწავლების შესახებ. სტატისტიკის მიხედვით, 100 ბავშვიდან ერთი აუტიზტია. ამიტომ საბავშვო ბაღებში აღმზრდელს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი განათლება, რათა სწორად მოხდეს ბავშვებთან კომუნიკაცია. ქალაქში 15 ბაღია და აქედან თითქმის ყველა ბაღში მიმდინარეობს ინკლუზიური სწავლება.

## ბავშვი ავტორიზაციის მოლოდინები

### დასაწყისი 4-33.

ბით. ამის შემდეგ აიღებენ სერთიფიკატს და მიენიჭებათ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი“- ასეთია კანონიდან ამონარიდი. რა მოხდება, თუ აღმზრდელი ვერ მიიღებს პედაგოგის სტატუსს. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების

ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ინგა გვასალიამ როგორც განვიმარტა: „კანონის შემუშავების პროცესში ჩართული იყო პროფკავშირებიც. ჩვენმა ორგანიზაციამ სხვა შენიშვნებთან ერთად ეს შენიშვნაც მისცა კანონის შემოქმედებს და მათაც მივუხმობთ შენიშვნების გაითვალისწინებს. საადამრთელ დაწესებულებაში დასაქმებულ ადამიანს სურს

ჰქონდეს პედაგოგის სტატუსი, მაგრამ ამ სტატუსის მიუღებლობის შემთხვევაშიც, არ რჩებიან სამსახურის გარეშე. ისინი ისევე აგრძელებენ მუშაობას არსებულ პოზიციაზე. ერთ-ერთი შენიშვნაა, რაც გაითვალისწინეს კანონში. ასევე, კანონში ხაზგასმით ჩანს პროფკავშირების როლი და ჩართულობა. მაგალითად, მე-10 მუხლში გაწერილია მუნიციპალიტეტების ვალდებულება, რომ პროფკავშირებთან

კონსულტაციის გარეშე არ შეიძლება შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტა დასაქმებულებთან“. აღნიშნულ კანონში მითითებულია ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების, ასევე მუნიციპალიტეტებისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ვალდებულებები და მოვალეობები ამ კანონის შესრულებაზე. დაწერილებითაა განმარტებული, რა უნდა

შეასრულოს თითოეულმა ზემოაღნიშნულმა სტრუქტურამ. კანონი უკვე ძალაშია, მაგრამ მისი ზოგი მუხლის შესრულების აუცილებლობა დროში გადადებულადაა, მაგალითად ეს შეეხება პედაგოგის სტატუსის მინიჭებას. კანონის შესრულებაზე უკვე დაშვებულია რამდენიმე ნორმატიული აქტი, შესაბამისად, ფოთის მუნიციპალიტეტმაც დაუშვა ნორმატიული აქტები-“.

# ყოფილი თანაგუნდელების ფარული დაპირისპირება „პამპერსების, ომში გადაიზარდა“


დასაწყისი 3-33.

ბული, კობა კი ლოგინად ინსულტის გამო ჩავარდა. ავადმყოფებს მეზობლად მცხოვრები რომანის და ონკოლოგიური ავადმყოფი გენრიტა უვლიდა, რომელიც მოგვიანებით ტუბერკულოზით დაავადდა და შინმშვილის პროგრამის ექთან ლაურა ლემონჯავა სამივე ავადმყოფს უვლიდა. დღეს გენრიტას ჯანმრთელობის მდგომარეობა უკეთესია: „მათი დახმარებით შევიხარხურე სიცოცხლე, იმდენად ცუდი მდგომარეობა მქონდა. უკეთესი მოვლით ექთნები შემხვდა და ეს პროგრამაც ძალიან კარგი მოვლითაა ჩვენსთანაა ხალხისათვის. ესენი რომ არ გამოჩენილიყვნენ, რა მეშველებოდა, ვერ წარმომიდგენია. თავიდან ყოველ დღე მოდიოდნენ, ახლა კვირაში ორ-სამჯერ მოდიან. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პამპერსების ყიდვა ჩემთვის ძალიან ძნელი იყო, სანამ ეს პროგრამა შემეშველებოდა. მოდიან და პამპერსები, ზეწარი, სველი საღვთებები, წამლები მოაქვთ, პიკეტის მოწესრიგებაში მესმარება ჩვენი ექთანი. ასეთ ავადმყოფებს სოციალური დახმარება შეუწყვიტეს. ჩემი ძმისთვის გადარჩენას არავინ ელოდა. ექიმმა მითხრა - შენ გადაარჩინე შენი ძმისთვის, მაგრამ ეს პროგრამა რომ არ ყოფილიყო, ონკოლოგიური ავადმყოფი ამას შევძლებდი? თავად ვარ მოსაველი. შვიდი გადასხმა გაუკეთა ჩემს ძმისთვის საკუთარი სახსრებით ეკა ექიმმა, თან შუალაშე მოდიოდა, ცუდად რომ გახდებოდა, ლაურა ექთანის გულისხმიერებას ვერ გადმოვცემთ, იმდენად კეთილი და გულმოდგინეა“. პამპერსების თემას როგორც კი შეეხებო, გაბრაზებულმა მითხრა - „ჩემი ძმა 81 წლისაა და დაუძღვრებელია, 56 წლის ძმისთვის ლოგინადაა ჩავარდნილი და ასეთ ხალხს სოციალური დახმარება მოუხსნეს. იმ თქვენს კაკულიას ეს გამოეძია, პამპერსებს რომ დასდევს“.

26 წლის ხატია ... ბახალური არტერიის ტრომბოზის შედეგად, სამი წელია ლოგინსაა მიჯაჭვული. დედამისი თავის მომსახურე ექთნის დიდად მადლიერია: „მუშუაუნახარი ექთანი ნეტავ ჩვენს საავადმყოფოსაც ყავდეს. სულ იმის ცდაშია, ხატიას როგორ ასიაშინოს. ყოველთვის რაღაც მოაქვს და მეუხერხულება, მაგრამ ეს მისი სურვილია. მუშუაუნახარი თავისი რაღაც მოიყვანა და ორი თვის განმავლობაში უფასოდ უკეთებდა ხატიას მასაჟს. დაბადების დღეებზე არ ავიწყდებათ, ტორტით დადიან და თქვენ რა პამპერსების ეკონომიაზე მეკითხებით?“

საკრებულოს თავმჯდომარის ბრალდება შეურაცხყოფელია კახათვის, რომელიც უკვე 12 წელია, ლოგინსაა მიჯაჭვული: „დაძინებმა ყველაფერი არ უნდა იკადროს. შეიძლება სტაციონარში ვერ მიიღო ისეთი დახმარება და ყურადღება, რასაც სახლში მოსული ექთანი გვიწევს. საკუთარი სახსრებით წამლებს ყიდულობენ და დღის ნებისმიერ მონაკვეთში დახმარებისათვის მზად არიან. ჩემი აზრი თუ ვინმეს აინტერესებს და თუ გონივრულად შეხედავს ადგილობრივი ხელისუფლება ამ ფაქტს, შინმშვილის პროგრამის თანამშრომლებს მეტი გასაქანი უნდა მისცენ, მეტი სიკეთის საკეთებლად. რასაც ეს სამსახური აკეთებს, ზოგჯერ არც მჯერა, თუ ასეთი პროგრამა საქართველოში ხორციელდება“.

ყოფილი მერის ბრალდებას არც ვალერი ჭითანავა და მისი ოჯახი ეთანხმება. ვალერიის დის აზრით, ეს პროგრამა მათთვის შეგება და დიდი დახმარებაა: „ჩემს ძმას სიცოცხ-



ლის წყურვილი დაუბრუნეს. ამ სამსახურში არანაყოფიერებელი გუნდია შეკრებილი, ღვთისნიერი, პროფესიონალი ექთნებითაა დაკომპლექტებული ეს სამსახური. ჩემი ძმის ექთანი ჩვენი ოჯახის ახალი წევრი გახდა. ყველაფერ იმის შემდეგ, რასაც ეს ქალბატონები უანგაროდ აკეთებენ, სირცხვილია ამ სამსახურზე აუცილებლად ვინმემ. რა პამპერსის დაკლებაზეა საუბარი. უმჯობესია, იმაზე იფიქრონ, მიზეზული ხელფასით ეს ადამიანები რამდენ სიკეთეს აკეთებენ და ურიგო არ იქნებოდა, მეტი ყურადღება მიაქციონ მათ. ჩვენ კი, ბენეფიციარები, მხოლოდ უდიდეს მადლობას ვუცხადებთ მათ საქვეყნოდ“.

შინმშვილის პროგრამით დღეისათვის 25 ბენეფიციარი სარგებლობს. მათ შორის 15 ბენეფიციარი ლოგინსაა მიჯაჭვული.

პროგრამის ხელმძღვანელ ეკა ტუღუშის განმარტებით, არ შეიძლება ეკონომიის გაკეთება და მით უმეტეს პამპერსებზე: „როგორც ჩვენს მიერ შეძენილი, ასევე გატანილი პამპერსები აღირიცხება“. შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოვიდნენ და შეგვამოწმონ. როდესაც თანამდებობის პირი რამეს გვაბრალდებს, ბრალდება რეალურად ახლოს მაინც უნდა იყოს. ვერ გეტყვით საიდან იღებს სათავეს ეს ბრალდება ან ვინ აწვდის ასეთ ინფორმაციებს ყოფილ მერს. შეამოწმონ და მითხრან, 3 900 ლარად როგორ უნდა მოემსახურე 25 ბენეფიციარს პამპერსებით, პიკეტის საშუალებებითა და მედიკამენტებით და ამასთან ერთად, ასეთი მადლიერი გვაკვდეს ბენეფიციარები. საინტერესოა, ამ თანხას რაღა ეკონომია უნდა გავუკეთოთ. 4 ექთანი - ლიკა ხონელიძე, ლაურა ლემონჯავა, მაია კუხალაშვილი და შუნა ქლიავა მიზეზულ ხელფასად (288 ლარი) მუშაობენ და იმ ხელფასიდანაც თავიანთ ბენეფიციარებს სადილით უმასპინძლებიან და საჩუქრებს ჩუქნიან. ექიმ ეკა ლომინაძეს პაციენტებისათვის ხან სახლიდან მოაქვს წამალი და ხანაც თავად ყიდულობს. არ შეიძლება, ასეთი სიკეთე დაუკარგო ადამიანს. ეს არ არის მარტო სამედიცინო დახმარება, ექთნები საოჯახო საქმეებსაც აკეთებენ“.

უხეშად თუ დავინგარიშებთ, წელიწადში თითო ბენეფიციარზე 325 ლარია გამოყოფილი, თუ ამ თანხას თვეებზე გავყოფთ, გამოდის, რომ ყოველთვიურად ერთ ბენეფიციარს მედიკამენტებსა და პიკეტის საშუალებებზე 13 (!) ლარი უწევს.

ყოფილმა მერმა ჩვენთან აღნიშნულ თემაზე საუბარი არ ისურვა - „ამ თემაზე კომენტარს არ გვაკეთებ იმიტომ, რომ ეს საუბარი ჩემსა და მაია ჩხარტიშვილის შორის საკრებულოს სხდომაზე მოხდა და იქვე დამთავრდა, ამ თემას ისევ

ვერ ავწევთ“. იცნობდა და ყავდა თუ არა მონახულებული ბენეფიციარები, კაკულიას ასეთი პასუხი აღმოაჩნდა - „ამ აიპს ზედამხედველობას ჯანდაცვის სამსახური უწევდა და შეიძლება ყველასთან არ ვარ ნამყოფი, მაგრამ მე ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვმოქმედებდი. ზეპირად ვერ გეტყვით, ვისთან ვიყავი“.

კაკულიას ბრალდებას ჩხარტიშვილი თბილისიდან პასუხობს, რომელიც საკრებულოს მომდევნო სხდომაზე არც გამოჩენილა: „კაკულიას როცა ჭირდება, შინმშვილის პროგრამით თავს იწონებს. მარშან ანგარიში სწორედ წარმატებული შინმშვილის პროგრამით დაიწყო. ამ აიპ-ს შინმშვილა არ ქვია, არამედ სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი. შინმშვილა იყო პირველი რგოლი, მერე უნდა გაკეთებულიყო ხანდაზმულთა დღის ცენტრი, შემდეგ იქნებოდა მოხუცთა სახლი და სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელსაც რამდენიმე მიმართულება ქონდა. ხანდაზმულთა დღის ცენტრი ძალიან იაფი ჯდებოდა - დაახლოებით 15 ათასი ლარი. საჭირო იყო ერთი ოთახი. როგორც კი ვერ ვითამაშე მისი თამაში, არც პროგრამის გაგრძელების საშუალება მომცა და შინმშვილის ისედაც მცირე ბიუჯეტი კიდევ უფრო შევიძვირე. შევიძვირე ორი კოორდინატორი და ორი ტექნიკური მუშაკი. რაც შეეხება იმას, რატომ დავინგარიშე ჩემი ნათესავი აიპის დირექტორად, ყველაზე მეტად გამიჭირდა დირექტორისა და ბუღალტრის თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევა. კომისიის ვებ გვერდზე გამოცხადებული მქონდა ვაკანსია და ვიწვევდი ყველას, მაგრამ როცა ჩემს მოთხოვნებს გაიგებდნენ, რომ ყველა თეთრიც კი გათვლილი იქნებოდა, უარს ამბობდნენ, როგორც ჩანს, ეს მოთხოვნა აშინებდათ. მხოლოდ ამის მერე ვუთხარი კაკულიას, თუ სხვა კანდიდატი არ არის, მე მყავს ახლობელი, რომელიც ყველა თეთრს მიზნობრივად განკარგავს და ყველა მოთხოვნას შეასრულებს-მეთქი. დამეთანხმა. არჩევანი არა ნათესაობაზე, არამედ კეთილსინდისიერებასა და ერთგულებაზე გავაკეთე. სირცხვილია, რომ ასეთ აიპ-ს ბიუჯეტი შეუძვირეს და „ბიუჯეტშია“ აიპებს კი დაფინანსება გაუზარდეს. სირცხვილია პამპერსების ეკონომიაზე საუბარი, რაც არარეალურია. კაკულიამ როდესაც შეჩერებული ქონდა სტატუსი, აუდიტის სამსახურს დაავალა შემოწმება. ისინიც ბენეფიციარებთან დადიოდნენ და ეკითხებოდნენ, მოქმედებდა თუ არა მათთვის მედიკამენტები, პამპერსები და რა ღონეზე ემსახურებოდნენ“.

# ფოტოში „ხამსის, სუნი არადა პრ „მანიკადა“

დასაწყისი 3-33.

ხელისუფლებამ ხომ უნდა გააკეთოს რამე. ხალხი მარტო არჩევნების დროს ხომ არ უნდა გაახსენდეთ? მოავარონ ეს საკითხი, ცარიელი ჰაერი დაგვრჩა და ისიც გაბინძურებულია“.

ზოია შელია კი სულაც არ ეთანხმება თანაქალაქლებს: „ფოტოში მეტი სამუშაო არ არის და რა გააწყალეთ გული ამ სუნზე ლაპარაკით. წელიწადში 4 თვე ვმუშაობ და ისიც რომ არ იყოს, როგორ უნდა ვიარსებო. „მამ“ გემიდან უფასოდ მაძლევენ თევზს და დამაქვს სარეალიზაციოდ. მთელი კანალიზაცია რიონში ჩავდინება და ხმას არავინ იღებს, იქ დატყერილ თევზსაც გამრივლად მიირთმევენ და ხამსის სუნი რა გახდა, რომ სეზონზე ვეღარ მოვიტყინოთ?“

გრიშა კორტავა კი განსხვავებულად მსჯელობს: „არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში ასე არაა. ჯერ ერთი, ასეთი სპეციფიკური სუნის ქარხნები ქალაქარეთ უნდა იყოს განთავსებული, მეორეც, ვიღაც ბიზნესმენებმა ფული აკეთონ და მე ხამსის სუნში ვიხრჩობოდე, სადაური ლოგიკაა?“

თევზის მძაფრი სუნი მიუღებელია ქალაქის მერისათვისაც. როგორც მერიაში გვითხრეს ქალაქის მერმა გონა კურდღელიამ გაერთხილებს წერილები უკვე გადაუგზავნა ფოტოში მოქმედ თევზის ქარხნებს. გაგზავნილი წერილების თანახმად - იმ შემთხვევაში, თუ ქარხნები არ მიიღებენ ზომებს სუნის ჩასასწობად, მათ წინააღმდეგ გატარდება სადასჯელო ღონისძიებები.



როგორც ჩანს კურდღელია მხოლოდ წერილების დაგზავნას არ დასჯერდა და თევზის გადაამაშუვებელი საწარმების შპს „აისბერგ-2“-ის, შპს „შავი ზღვის პროდუქტები“-სა და შპს „მადის“ ხელმძღვანელებს შეხვდა კიდევ. საუბარი ქარხნების სამუშაო და პროდუქციის ტრანსპორტირების პროცესში ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვას შეეხო.

„უნდა გატარდეს მაქსიმალური ღონისძიებები, რათა თავიდან ავიცილოთ უსიამოვნო სუნი. მისასალმებელია, რომ ფოტოში თევზის მრეწველობა ვითარდება და პროდუქცია ექსპორტზე გადის, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი თანაქალაქელების დისკომფორტის ხარჯზე“- აღნიშნა ფოტის მერმა გონა კურდღელიამ.

ქალაქის მერი მზადაა ერთობლივი ღონისძიებების გასატარებლად, რათა დაჩქარდეს პრობლემის მოგვარება. შეხვედრაზე განიხილეს ყველა ფაქტორი, რაც ხელს უშლის თევზის გემებიდან დროულად გადმოტვირთვას, ქარხნებამდე ტრანსპორტირებას და მის დამუშავებას. როგორ შედეგს მიიღებს მერის გამაფრთხილებელი წერილი და რა ზომებს გაატარებენ ქარხნები დამატებით ამ სუნის მოსასწობად, ამ მიღებენ თუ არა ზომებს, ამას სუნის გაქრობა-არ გაქრობით გავიგებთ.

# გულიდან გულამდე!

შინაგანი განწყობით მე არა ვარ ოცდამეერთე საუკუნის ადამიანი, ასე მგონია მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში უნდა მეცხოვრა. მესამე წინის მასალების შესწავლისას, უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს არქივში საგულდაგულოდ შეფუთული საქაღალდეების გახსნა, ფურცელ-ფურცელ გაცოცხლება და იმ პერიოდში მოგზაურობა. საოცარია როცა დროში იწყებ მოგზაურობას, გიწვევს გავსე და ხდები მისი ნაწილი. ეს ყველაფერი რეალური ხდება და შენც მათთან ერთად გადიხარ იმ სირთულეებს, გრძნობ სიცოცხლისთვის გაუსაძლის გარემოს, გადიხარ დატბორილ ქუჩებს და ხედავ როგორ ხდება შეუძლებელი შესაძლებელი. სასიამოვნოა, რომ მკითხველს ექნება პირველი აღმოჩენის განცდა. ეს ყველაფერი სულ მალე მესამე წიგნში...

ახლა ოცდამეერთე საუკუნეა, უახლესი ტექნოლოგიების ეპოქა თითქმის ყველაფერი მარტივად ხელმისაწვდომი. ერთი შეხედვით დრომ თითქოს დაკარგა უმნიშვნელოვანესი ემოციების განცდა: გაოცება, აღტაცება! მე არ მგონია თუ ეს ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო! წარმოუდგენელი თანხვედრა: მასთან დადლოვი და კიდევ უფრო წარმოუდგენელი მასზე დოკუმენტური ფილმის შექმნა...

ის ფოთელია, მართალია საქართველოში არ ცხოვრობს, მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველია. პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო კარდიოქირურგი, აკადემიკოსი ლეო ბოკერია უკვე 20 წელზე მეტია ხელმძღვანელობს გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამედიცინო ცენტრს, სადაც 1968 წელს, ასპირანტურის დამთავრებისთანავე მივიდა. გულზე უამრავი ოპერაცია აქვს ჩატარებული, მათგან ბევრი უნიკალურია და მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ის იყო პირველი, ვინც მანამდე უიმედო პაციენტებისთვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა დაიწყო, მის სახელს უკავშირდება რუსეთში 10 წლის წინ დაწესებული აქცია "Прикоснись к сердцу ребенка", რომლის ფარგლებში 14 ათას ბავშვს გულზე ოპერაცია გაუკეთდა.

ლეო ბოკერია ქირურგიული არითმოლოგიის ფუძემდებელია. მისმა ნაშრომებმა მსოფლიო აღიარება პოვა და იგი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდა, ესენია: ამერიკის ქირურგთა ასოციაცია, ევროპის გულის და გულ-სისხლძარღვთა ქირურგების საზოგადოება, მონაკოს საერთაშორისო კარდიოლოგიური ცენტრი, სურბეთის მეცნიერებათა აკადემია. ამის გარდა არის საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთის რეგულარული საერთაშორისო კონფერენციების ფაკულტეტის წევრი. 1998 წელს მან მიიღო ქირურგიული ენობრივი აში ყველაზე მაღალი ტიტული - ამერიკის ქირურგთა კოლეჯის საპატიო წევრობა. საჩვენებელი ოპერაციების ჩასატარებლად არაერთხელ გამგზავრებულა უცხოეთში და გაუკეთებია პირველი წარმატებული ოპერაცია. თვლის, რომ თუ ადამიანს რამის მიღწევა უნდა, მთავარია შრომა, შრომა და შრომა.

ლეო ბოკერიას ეკუთვნის 150 პატენტი გამოგონებაში. გამოაქვეყნა 1000-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 100-ზე მეტი უცხოეთში. ბავშვობის წლებს სიამოვნებით იკონებს: "ფოთში, ჩვენს ქუჩაზე, 31 სახლი იდგა. ბევრ ოჯახში მამები ომიდან არ დაბრუნებულან, მაგრამ თითქმის ყველა ოჯახში ბიჭი იზრდებოდა. ძირითადად, ქუჩაში ვიყავით. კარგი მეგობრები მყავდა. ვინც ცოცხალი დავრჩით, ახლაც ძმებავით ვართ. ფეხბურთსა და ჭადრაკს ვთამაშობდით. კალათბურთიც მიყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლე არ მყოფნიდა და



არც სხვა მონაცემები მიწოდდა ხელს, მაინც ვთამაშობდი. ყოველ დღე ზღვაზე დავდიოდით... ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის საბანაო სეზონი ადრე გაზაფხულზე იწყებოდა... დღესაც ყველაზე მეტად ძმაცაცებთან ვოფნა მენატრება. ფოთში რომ ჩავდივარ, უსათუოდ უნდა მოვიარო ის ქუჩები, სადაც გავიზარდე. ზღვაშიც სწორედ იმ ადგილას უნდა ვიბანო, სადაც ბავშვობისას...

ლეო ბოკერიას გლობალური სამეცნიერო დასკვნები გამოაქვს და ფილოსოფიურადაც კი ანზოგადებს: "გულს ხომ ნამდვილი მუდმივი ძრავაა. ბუნებაში არ არსებობს სხვა მუდმივი ძრავა, გარდა გულისა. ჯერჯერობით ვერ მივაღწევთ იმას, რომ ცნება „მუდმივი ძრავა“ და ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ბალანსი არსებობდეს. თუმცა კაცობრიობა სწორედ ამ გზით მივმართება და ამ მიზანსაც მიადგევს."

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში 80 წელი ჯერ კიდევ არ არის სიბერე და სიცოცხლის დასასრული. მახსოვს, დაახლოებით 30 წლის წინ პირველად ჩავიხსენებდი ქირურგი გულის ოპერაციას უკეთებდა 90 წლის პაციენტს. მაშინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვეკითხები: "რა საჭიროა ამ ასაკში ოპერაცია?" ექიმი გაკვირებული მპასუხობს: "სულ ცოტა 5 წელი მაინც ხომ იცოცხლებს?" მაშინ მეგონა, რომ ასე მხოლოდ შევედით ფიქრობდნენ. აღმოჩნდა, რომ სხვა ქვეყნებშიც ასეა. რისთვის ვითარდება მედიცინა? იმისთვის, რომ ხალხმა დიდხანს და ხარისხიანად იცხოვროს."

კარდიოქირურგიაში ყველაზე რთულ პრობლემებს შეეჭიდა. მისი მეცნიერული მიზნებისა და კლინიკური მიღწევების ჩამოთვლა შორს წავიყვანს, მთავარი ის არის, რომ ათასობით ადამიანი გადაარჩინა (კარგა ხანია აღარც ითვლის) ასობით უნიკალური ოპერაცია გააკეთა, რომელთა გამოხორება ჯერჯერობით ვერაინ შეძლო. დღესაც, ყველაზე რთულ ოპერაციებს თვითონ აკეთებს და ყოველდღიურად საოპერაციოში რამდენიმე საათს ატარებს. იმ პაციენტთა რაოდენობა, რომლებსაც თავისი ცხოვრების განმავლობაში ოპერაცია გაუკეთა, პატარა ქალაქის მოსახლეობის ტოლია. სიყვარული ასეც უწოდებს - "პატარა ქალაქი, სადაც დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობენ" მიუხედავად შთამბეჭდავი ციფრებისა, ბატონი ლეო წუხს, რომ კიდევ უფრო მეტის გადარჩენა შეიძლებოდა, ოპერაციები რომ გაეკეთებინათ. ახლა გულის ყველა დაავადების განკურნება შესაძლებელი, თუკი მათი დროულად გამოვლენა მოხერხდება, განკურნება კი შესაძლებელია ნებისმიერ ასაკში. მისი ყველაზე პატარა პაციენტი იყო 2 საათის დაბადებული ჩვილი, ყველაზე უფროსი კი - 93 წლის.

"ერთხელ, როცა ტიტულები უკვე მქონდა, მკითხეს, ყველაზე უფრო რომელი მემამაეობა - ვუპასუხე, რომ ჩემთვის ყველაზე უფრო საამაულო ქალაქი ფოთის საპატიო მოქალაქეობა. ქალაქისა, რომელშიც გავიზარდე. საქართველო კი, ვიმეორებ, ჩემთვის სიწმინდეა, რადგან აქ ჩავისუნთქე პირველად ჰაერი, აქ ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები, აქ ვსწავლობდი სკოლაში, ქართული ენა ჩემი მშობლიური ენაა. აქ გვრძნობ დიდ სიყვარულს და პატივისცემას. ჩემთვის საქართველო აბსოლუტურად წმინდა ადგილია. ეს არ ეწინააღმდეგება ჰუმანიზმის პრინციპებს და ადამიანის როლსა და დანიშნულებას დედამიწაზე."

და ეს სასწაულიც მოხდა! სრულიად მოულოდნელი ამბავი... შევხვედროდი, გამეცნო და მეხაზებრა ბატონ ლეო ბოკერიასთან, მემუშავა დოკუმენტურ ფილმზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფილმი სწორედ მის მშობლიურ ქალაქ ფოთში შეიქმნა და ჯერჯერობით ერთადერთი ქართულ ენოვანი ფილმია.

თითქოს ასე მარტივად და უბრალოდ, იტალიური კინოს შავ-თეთრ კადრებს მოგაგონებთ ფრაგმენტი ფილმიდან, მალთაფვის სანაპიროზე მოსვირნე პლანეტის ადამიანი - ლეო ბოკერია! დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ირაკლი მოწერელიას ამ საოცარი შესაძლებლობისთვის რომელიც მისი უშუალო უშამდგომლობით მომეცა. 2015 წელს, ფილმი წარდგენილი იყო მართლმადიდებლური ფილმების მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალზე სადაც დაჯილდოვდა მთავარი პრიზით, მედლით და სივლე-გუჯარით!

მან დიდი ღვაწლი გასწია გასული საუკუნის საქართველოში კარდიოქირურგიის განვითარების საქმეში - პოსტიტალური მომსახურების მიზნით. მან ათობით უმაღლესი კვალიფიკაციის ქირურგი მოამზადა საქართველოსთვის, რომლებიც წარმატებით ავრძელებენ პრაქტიკულ მოღვაწეობას ჩვენშიც და სხვაგანაც. ცხოვრების მანძილზე ლეო პატრონობდა ყველას ვისც მისი დახმარება ესაჭიროებოდა და არც თვისტომი დავიწყია არასდროს. დღეს ლეო ბოკერია პლანეტის ქირურგთა ოლიმპზე დგას და თანამედროვე ქართველთა შორის იგი ერთადერთია პატივდებული ფილმის წარმოსადგენი და წარმოუდგენელი ჯილდოებითა და წოდებებით.

ბატონო ლეო, გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს! იდღგრძელეთ და გზას „გულიდან გულამდე“ დასასრული არ ჰქონდეს!!!

აპაზიონსხავეთი ირაკლია

## საორბი სამოყვარულო ფეხბურთში ფოთის „ჭაბონამა“, „მოყვარულთა თასი- 2017“-ის გამარჯვებულია

რამდენიმე დღის წინ, წყალტუბოს ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „მოყვარულთა თასი - 2017“- ის ფინალური მატჩი სამოყვარულო ფეხბურთში, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დასავლეთი და აღმოსავლეთი ზონების გამარჯვებული გუნდები ფოთის „ჭაბონამა“ და თბილისის „ნახალოვკა“. თამაში ორმხრივი იერიშით დაიწყო და შედეგამდე არ დაყოვნა. თამაშის მე-3 წუთზე „ჭაბონამას“ საუკეთესო გოლიადორმა გიორგი ფარდალავამ ანგარიში გახსნა და დააწინაურა ფოთელები. ამის შემდეგაც თამაშს მსველელობის სიმწვევე არ დაუკარგავს, მაგრამ პირველ ნახევარში ანგარიში არ შეცვლილა. მეორე ნახევარში გუნდები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ „ნახალოვკას“ ფეხბურთელებს, რაც შეიძლება მოკლე დროში სურდათ ანგარიშის გათანაბრება, რაზეც „ჭაბონამას“ ფეხბურთელები მწვევე კონტრშეტევებით პასუხობდნენ და ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს, თამაშის 55-ე წუთზე გიორგი ფარდალავას ზუსტი გადაცემის შემდეგ ირაკლი ცომაია ანგარიში ორამდე გაზარდა, ხოლო სულ რაღაც 3 წუთში თამაშის 58-ე წუთზე ხვინა ყალიჩავამ მე-3 ბურთი გაუტანა თბილისელებს, რამაც გარკვეულწილად გადაწყვიტა თამაშის ბედი, მაგრამ თამაშს მაინც არ დაუკარგავს სანახაო-რივი მხარე. გუნდები მაქსიმალურად ცდილობდნენ მაყურებლისათვის ეჩვენებინათ ლამაზი ფეხბურთი. თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ფოთელმა ფეხბურთელებმა ისარგებლეს მცველების შეცდომით და მე-4 ბურთი გაუტანეს „ნახალოვკას“ ფეხბურთელებს. ამ გოლის ავტორი გახლავთ დავით კუკულაძე. ამრიგად ფოთის „ჭაბონამამ“ გაიმარჯვა რა ფინალურ მატჩში, გახდა „მოყვარულთა თასი-2017“-ის გამარჯვებული.



## ფოთელი მოჭადრაკეების პორიბი ნარმატება

ბრწყინვალე შედეგით დასრულდა ფოთის საჭადრაკო კლუბის მოჭადრაკეთა რესპუბლიკური საჭადრაკო ფესტივალი „ხონი-2017“. ჩვენმა მოჭადრაკეებმა 9 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს:

- I ადგილი - ნინო სოლომონია (12წ გოგონები);
  - I ადგილი - გაგა გვახალია (6წ ჭაბუკები);
  - II ადგილი - აკაკი ყალიჩავა (14წ ჭაბუკები);
  - II ადგილი - ლიზი ფონხუა (12წ გოგონები);
  - II ადგილი - ლიზი სარიშვილი (8წ გოგონები);
  - II ადგილი - ნია ჭითანავა (6წ გოგონები);
  - III ადგილი - თეიმურაზ კვიციანია (12წ ჭაბუკები);
  - III ადგილი - კახაბერ კიხირია (10წ ჭაბუკები);
  - III ადგილი - ლუკა წურწუშია (8წ ჭაბუკები).
- საპრიზო ადგილებთან ასევე ახლოს იყვნენ და მაღალ ადგილებზე დაასრულეს ტურნირი ანა სანიციძემ, ალექსანდრე გარუჩავამ, დავით ხარშილაძემ, ვაბრიელ ხუბულავამ, მიშიკო წულაია, გიორგი კვარაცხელიამ, ბარბარე კულუამ და სანდრო ხოფერიამ. ფესტივალში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 230-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა.

# ჯეოსიკა

ცნობილია, რომ ემოციები მხოლოდ ჩვენს გონებაში კი არა, სხეულზეც აისახება, მათ ფიზიკური ზემოქმედებაც ისევე ახასიათებთ, როგორც ფსიქოლოგიური და ჩვენ - ადამიანები, მიუხედავად კულტურული მანქანების სხვაობისა, ფიზიკურად აფსოლიტურად იდენტურად შევიგრძნობთ მათ.

ასევე ცნობილია, რომ სხვადასხვა ემოციას სხეულის სხვადასხვა ნაწილში ვგრძნობთ, რაც სხვა სიმპტომებთან ერთად სხეულზე ტემპერატურის მატებით ან კლებით გამოიხატება.

არსებობს სხვადასხვა ემოციების სითბური რუკა, რომელიც ფინეთში, აალტის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა შექმნა ემოციებზე კვლევისას. ამ რუკას თუ დაუკვირდებით, გაგოცდებთ ფაქტი, რომ რამდენიმე ემოცია ფიზიკური გამოვლინებით ძალიან ჰგავს ერთმანეთს (მაგალითად, სიამაყე და რისხვა). აღსანიშნავია ისიც, რომ ემოციათა უმეტესობა აქტივობას იწვევს ადამიანის სხეულის ზედა ნაწილში - გულ-მკერდსა და თავის არეში. სიყვარული, სხვა დანარჩენი შეგრძნებებისგან განსხვავებით, ადამიანის სასქესო და გამრავლების ორგანოებზე ვლინდება. ასევე აღმოაჩინეთ, რომ ბედნიერება ერთადერთი შეგრძნებაა, რომელიც ადამიანის მთელს სხეულს მოიცავს და ერთიანად ათბობს მას.



## საინტერესო ფაქტები, რომლებიც ყველა არ იცის

- თუ ყვითელ კანარის ჩიტს წითელი პილპილით გამოვკვებავთ, ბუმბულები დაჯდება ნარინჯისფერი გაუხდება.
- ოქრო იმდენად იშვიათი მეტალია, რომ ერთ საათში მოპოვებული რკინა უფრო მეტია, ვიდრე კაცობრიობის მიერ მოპოვებული ოქრო მთლიანად.
- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისას ადამიანის თმა 725 კილომეტრის სიგრძის იზრდება.
- პარალელური ხაზები კოსმოსში იკვებებიან.
- ფენ-შუი თავიდან ნიშნავდა საფლავების მორთვის ხელოვნებას.
- დაცემიებისას ყველა ორგანოს ფუნქციონირება ჩერდება - გულისაც კი.
- იხვის ყიყინი ექოს არ იძლევა
- აზიდების მაქსიმალური რაოდენობა ერთ ჯერზე არის 46001.
- გველს შეუძლია იძინოს სამი წლის განმავლობაში.
- თეთრი ვეშაპის გული ფოლკსვაგენ ჟუკის ოდენაა.
- მსოფლიოში ყოველდღიურად 100000000 სქესობრივი აქტია, თუმცა მხოლოდ 910000 მთავრდება განაყოფიერებით.
- ერთი მილიარდი წამი დაახლოებით 37 წელიწადია.
- ქამელეონის ენა მის სხეულზე ორჯერ დიდია.
- მაიკლ ჯორდანი კოლეჯში სწავლისას, მეორე კურსზე საკალათბურთო გუნდში არ აიყვანეს არასაკმარისი სიმაღლის გამო.
- კენიაში ოჯახის ბიუჯეტის შესამედი ქრთამების გაცემას ხმარდება.
- სპრინტერს (მორბენალი) შეუძლია სტარტიდან პირველ 10 მეტრზე სპორტულ ავტომობილს გაუსწროს.
- სახეზე ფერიმჭამელების მოშორება შესაძლებელია ნებისმიერი ანტიბიოტიკის (ასპირინი, სუპრასტინი) საშუალებით - თუ დაფხვნილ აბს დავეუბტებთ წვეთ წყალს.
- ერთადერთი ჩიტი, რომელსაც უკულმა ფრენა შეუძლია, არის კოლიბრი.
- გიგანტური ხვლიკი - კომოდო თავს ესხმის ირემსა და ტახსაც კი.
- მამაკაცთა ნახევარი საპირფარეშოდან გამოსვლისას ხელებს არ

- იბანს.
- აეროდინამიკისა და ზუსტი ბალანსის შესანარჩუნებლად, არწივის ერთი ფრთიდან რომელიმე ბუმბულის გამოვარდინისას მეორე ფრთაზეც ზუსტად ის ბუმბული სცილდება.
- ხეოფსის პირამიდის ფილებს შორის სივრცეებში შეუძლებელია სამართების გატარება.
- ფინეთში არსებობს ცოლების გადაყვანის ჩემპიონატი. ყველაზე შორ მანძილზე ცოლის მხრებით გადაყვანი ჯილდოდ იღებს იმ რაოდენობის ლუდს, რამდენ კილოგრამსაც იწონის მისი მეუღლე.
- არწივები ჰაერში წყვილდებიან.
- მსოფლიოში, მძღოლები უფრო მეტ ირმებს კლავენ, ვიდრე მონადირეები.

## განსხვავება

**ფოთის საზღვაო ნავსადგური ყილის მსუბუქი და საბავაროთო აგ-ის მეორად საბურავებს.**  
**დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ:**  
**ფორა ქაქულია - 599887595, ფორა.ქაქულიაანგეარინალს.სომა.**  
**ნილო მიკსულაპა - 599887977, ნილო.მიკსულაპაანგეარინალს.სომა;**  
**დაინტერესებულმა პირებმა მთხოვეთ, მოგვმართეთ 2017 წლის 25 დეკემბრამდე.**  
**მღაბარეობა: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა 52.**

<p><b>გაზეთის ხელმოწერა</b>  <b>საქურადღებოდ!</b>  ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის</p> <p>1 წლით - 50 ლარი  6 თვით - 25 ლარი  3 თვით - 12,50 ლარი</p> <p>კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის</p> <p>3 თვით - 6 ლარი</p> <p><b>იკითხეთ გაზეთი შინაგარეული</b></p>	<p><b>გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“</b> სამუშაოდ ინვესს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს</p> <p><b>გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შედეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19</b></p> <p><b>ტელეფონი: 599 34 14 17</b></p>	<p><b>გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“</b> სტაჟირებაზე ინვესს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოსდილება ქურნალისტიკაში წარმატებული სტაჟირობები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19</p> <p><b>ტელ: 599 34 14 17</b></p>
---	--	---

**ისარგებლეთ გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განსხვავებული რეკლამები, მილოსხვაები. ოჯახის სამეგრელოში განსხვავებული მილოსხვა- რეკლამები ურთხვით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი ურთხვით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორგანიზაციის, სურათიანი განსხვავებული: სამეგრელოში - 15 ლარი, მილოსხვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე - მთლიანი გვ. (100სმ2)-150 ლარი, ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი; მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე, ბოლოში - სამჯერ ძვირია ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორგანიზაციის მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმოწერაზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოსაქირის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17.**

# შინაგარეული თქვენი პრობლემების კვლადაკვალ

ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.